არქივი დაამუშავა და ელექტრო ვერსია შექმნა

სოფო გოგიუაძემ

(2021 წ.)

მარია ბაუერი

მარია (მარიამ) ბაუერი 1909 წელს თბილისში დაიბადა. მამა თბილისის (ყოფილი კაზენოვის) თეატრში სუფლიორად მუშაობდა, ხოლო დედა ამავე თეატრში გუნდის მომღერალი იყო. თბილისის პერინის საბალეტო სტუდიის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს მარია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო გუნდს შეუერთდა. 1929 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მოცეკვავე კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლენინგრადში (პეტერბურგში) სახელმწიფო ქორეოგრაფიულ საბალეტო სასწავლებელში გაიგზავნა. სწავლის დამთავრების შემდეგ, 1930 წელს ბაუერი დაბრუნდა თბილისში, მიიღო წამყვანი ბალერინის ატესტატი და გახდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი მოცეკვავე, სადაც 1960 წლამდე მოღვაწეობდა. 1936 წლიდან 1942 წლამდე იგი თბილისის ქორეოგრაფიულ სტუდიაში მუშაობდა პედაგოგად, მის ხელში მოცეკვავეთა არაერთი თაობა აღიზარდა. 1937 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე მ. ბაუერი ოქროს საათით დაჯილდოვდა, 1946 წელს კი – ღირსების ორდერით.

თბილისში მუშაობის დროს მან შეასრულა როლები, როგორიცაა: ტაო-ხაო – რ. გლიერის "წითელი ყაყაჩო", გულნარა – ჩ. პუნის "კორსარი", ზარემა – ბ. ასაფიევის "ბახჩისარაის შადრევანი", თოჯინა – ლ. დელიბის "კოპელია", ოდეტა – პ. ჩაიკოვსკის "გედების ტბა", ქუჩის მოცეკვავე – ლ. მინკუსის "დონ კიხოტი", ინდოელი გოგონა – დ. თორაძის "გორდა" და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამ უკანასკნელის, ინდური ცეკვის ბრწყინვალე შესრულებისთვის 1951 წელს მარიას მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

საგულისხმოა, მ. ბაუერის გამოსვლები საოპერო სპექტაკლებში: ყივჩაღური ცეკვა – ა. ბოროდინის "თავადი იგორი", ქართული ცეკვა – ა. ანდრიაშვილის "კაკო ყაჩაღი", ბოშური ცეკვა – ა. დარგომიჟსკის "ალი", აღმოსავლური ცეკვა – ზ. ფალიაშვილის "ლატავრა", აგრეთვე საკონცერტო ნომერები: "ჯეირანი", "ლიაზგი" და სხვ.

1941 წელს მარია ბაუერს საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1955 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

1975 წელს გამოვიდა ლანა ღოღობერიძის მიუზიკლში "აურზაური სალხინეთი" სადაც მ. ბაუერმა ერთ-ერთი როლი (კნაჭა) შესანიშნავად შეასრულა.

მარია ბაუერი 1995 წლის 6 სექტემბერს 86 წლის ასაკში გადრაიცვალა.

მარია ბაუერის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფია

1. მარია ბაუერის ავტობიოგრაფია.
   1940 წ. 5 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს – მ. ჭკადუა. 1 გვ.

2. მარია ბაუერის ავტობიოგრაფია.
   1946 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი. 2 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ანკეტა

3. მარია ბაუერის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 26 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 4 გვ.

4. მარია ბაუერის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 26 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 4 გვ.

5. მარია ბაუერის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. (ერთვის ორი ფოტო)
   1940 წ. 20 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 4 გვ.

6. მარია ბაუერის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. (ერთვის ფოტო)
   1946 წ. 1 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 4 გვ.

7. მარია ბაუერის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ანკეტა.
   1975 წ. 9 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მელანი. 6 გვ. (2 ეგზ.)

დახასიათება, რეკომენდაცია

8. ზაქარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული მარია ბაუერის დახასიათება.
   1975 წ. 18 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – ი. ბერიძე, პარტ. ბიუროს მდივანი – თ. მუშკუდიანი, ადგილკომის თავმჯდომარე – ს. ტერ-არაკელოვი, რაიკომის მდივანი – ლ. მგალობლიშვილი. 1 გვ.

ბრძანება

9. ხელოვნების სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება მარია ბაუერის ხელფასის (10 მან.) მომატებასთან დაკავშირებით.
   1940 წ. 29 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ცნობა

10. მარია ბაუერის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა.
    1959 წ. 30 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მელანი. ხელს აწერს – მ. ბაუერი. 3 გვ.

პროგრამა

11. ზაქარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული მარია ბაუერის ბენეფისის პროგრამა.
    1956 წ. 25 მარტი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.